ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5836714

ნომერი: AR1882676

თარიღი : 25.02.2022

გაცემის თარიღი : 07.03.2022

გაცნობის თარიღი : 07.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი II , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ , (ნაკვ.N6) ;
ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი II მ/რ , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიგა ხვინგია პ/ნ 60002003913
- შარტავას ქ. #38 ბინა.#24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 25 თებერვალს №AR1882676 განცხადებით მომართა გიგა ხვინგიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებით №01.14.16.015.340 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4816853 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 07 თებერვლიდან 2023 წლის 07 თებერვლის ჩათვლით. სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებაში დამკვეთებად დაფიქსირდა გოგი თოდუა, ნონა თოდუა.
წარმოდგენილი განცხადებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრეების - გოგი თოდუას და ნონა თოდუას ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „გ ლ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ: 400186534) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882022088770, მომზადების თარიღი: 08/02/2022 წ.) თანახმად, №01.14.16.015.340 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „გ ლ დეველოპმენტი“ (ს/ნ: 400186534). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22007542, მომზადების თარიღი: 28/01/2022 წ.) შპს „გ ლ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ: 400186534) დირექტორებს წარმოადგენენ გიგა ხვინგია და ლევან ლაფანაშვილი. შპს „გ ლ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ: 400186534) წესდების თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.14.16.015.340 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გ ლ დეველოპმენტი“ (ს/ნ: 400186534), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „გ ლ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ: 400186534) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებაში და დამკვეთად გოგი თოდუას (პ/ნ: 01017005126) და ნონა თოდუას (პ/ნ: 01008036137) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „გ ლ დეველოპმენტი“ (ს/ნ: 400186534).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 თებერვლის №4852167 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.